არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

«საზოგადოებრივი განვითარების აკადემია»-ს

წესდება-დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოებრივი განვითარების აკადემია“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.2 სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა:

«საზოგადოებრივი განვითარების აკადემია»

1.4 სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი

1.5 იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, გორგასალის/ხიმშიაშვილის ქუჩა 111/13(15), ბინა №52

1.6 ელექტრონული ფოსტა: shorenad@yahoo.com

1.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

1.8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი, ბლანკი, წევრობის მოწმობა, სიმბოლიკა (გერბი და ლოგო), დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.10 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზნები:

- საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება
- ახალგაზრდობის ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სოციალურად დაუცველი ადამიანების ხელშეწყობა;
- საქველმოქმედო საქმიანობა;
- მოხალისეობის პოპულარიზაციის და განვითარების ხელშეწყობა;

1.10.1 ორგანიზაცია საწესდებო მიზნების მისაღწევად:

- შეიმუშავებს და ახორციელებს ორგანიზაციის მიზნებით განსაზღვრულ პროგრამებსა და პროექტებს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე;
- ქმნის სხვადასხვა მიმართულების სასწავლო, საგანმანათლებლო, კონსალტინგურ, სამეცნიერო, შემოქმედებით, კულტურულ, დასასვენებელ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, სამედიცინო, სარეაბილიტაციო, საქველმოქმედო და სხვა სახის ცენტრებს ან ჯგუფებს;
- აწყობს კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, ტრენინგებს, დისკუსიებს და მსგავს ღონისძიებებს;
- მონაწილეობს ან ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს, აქციებს, გამოფენებს, ფესტივალებს, კონკურსებს, კონცერტებს, აუქციონებს, გათამაშებებს, საზაფხულო-შემოქმედებით ბანაკებსა და საქველმოქმედო პროგრამებს;
- აწესებს წოდებებს, ჯილდოებს, პრემიებს, წახალისების სხვა ფორმებს;
- გასცემს გრანტებს, როგორც ფიზიკური ასევე ნებისმიერი სახის იურიდიული პირებისათვის ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად;
- ეწევა საგამომცემლო, მთარგმნელობით, საკონსულტაციო და სამაუწყებლო საქმიანობას;
- ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის ორგანიზაციის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;
- ქმნის ფილიალებს, წარმომადგენლობებს, ცენტრებს, დეპარტამენტებს, განყოფილებებს, ჯგუფებს და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებს, სამეურნეო ანგარიშიან საწარმოებს იურიდიული პირის უფლებით, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე;
- ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო ლიცენზირებადი საქმიანობის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემდეგ.

1.11 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.12 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2

ორგანიზაციის დამფუძნებლები

2.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნბელები არიან:

1. შორენა დოლაბერიძე
   პირადი № 610010####
   პასპორტის № 11BA1####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ##########
   დაბადების თარიღი: ##.##.1984
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: shorenad@yahoo.com

2. ნინო დოლაბერიძე
   პირადი № 6100102####
   პასპორტის № 09AK6####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ##########
   დაბადების თარიღი: ##.##.1962
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: ninogujabidze@yahoo.com

მუხლი 3
წევრთა უფლებები და მოვალეობები

3.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **«საზოგადოებრივი განვითარების აკადემია»** წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას. მისი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებსა და საქმიანობას.

3.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **«საზოგადოებრივი განვითარების აკადემია»-ს** წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს აკადემიის პრეზიდენტს, რომელიც წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან ერთი თვის ვადაში.

3.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

3.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;
გ) გარდაცვალებისას;

3.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი შეიძლება გაირიცხოს ორგანიზაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

3.6 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს საერთო კრების მუშაობაში;
ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველობის ორგანოებში;
გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პროგრამებში;
დ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ;
ე) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

3.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდება: შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
ბ) გაუფრთხილდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაში;

3.8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **«საზოგადოებრივი განვითარების აკადემია»-ს** წევრები არიან :

1. შორენა დოლაბერიძე
   პირადი № 6100102####
   პასპორტის № 11BA1####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ##############
   დაბადების თარიღი: ##.##.1984
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: shorenad@yahoo.com

2. ნინო დოლაბერიძე
   პირადი № 6100102####
   პასპორტის № 09AK6####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ############
   დაბადების თარიღი: 26.09.1962

დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
ელ-ფოსტა: ninogujabidze@yahoo.com

მუხლი 4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვა

4.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **«საზოგადოებრივი განვითარების აკადემია»-ს** უმაღლესი მმართველობითი ორგანოა წევრთა საერთო კრება.
4.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრთა საერთა კრებას იწვევს პრეზიდენტი, წელიწადში ერთხელ მაინც ან როცა ამას მოითხოვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საერთო ინტერესები.
4.3 საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/4. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.
4.4. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია. იმ წევრებს რომლებიც ვერ ესწრებიან წევრთა საერთ კრებას, გააჩნიათ კენჭისყრაში წერილობითი მონაწილეობის მიღების უფლება. ისინი უთანაბრდებიან წევრთა საერთო კრებაზე დამსწრე წევრებს. საერთო კრებას წარმართავს პრეზიდენტი.
4.5 განცხადება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საერთო კრების მოწვევის შესახებ, დღის წესრიგის მითითებით, ეგზავნება წერილობით აკადამიის ყველა წევრს კრების ჩატარებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე მაინც. ინფორმაცია უნდა გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობით ან წევრის მიერ აკადამიაში დაფიქსირებულ ელ. მისამართზე.
4.6 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრთა საერთო კრებას არ გააჩნია პრეზიდენტის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება.

4.7 საერთო კრება:

- ისმენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობასა და ფინანსურ ანგარიშს;
- დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს წარმოდგენილ საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- იღებს გადაწყვეტილებას წევრის ააიპ–დან გარიცხვის შესახებ.
- იღებს გადაწყვეტილებებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით გარდა წესდების დამტკიცების და მასში ცვლილებების ან დამატებების შეტანის, აკადემიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა.
- აკადემიის წესდების დამტკიცების და მასში ცვლილებების ან დამატებების შეტანის, აკადემიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თუ ამ გადაწყვეტილების მიღებას მხარს დაუჭერს წევრთა ორი მესამედი მაინც.
- თავისი შემადგენლობიდან ირჩევს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტს 4 (ოთხი) წლის ვადით. არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. არჩეული

პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება სახელმწიფო სავალდებულო რეგისტრაციისთანავე;

- თავისი შემადგენლობიდან ირჩევს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის მოადგილეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით.
- შეუძლია შექმნას სარევიზიო კომისია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებს მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში ქმნის მრჩეველთა (საკონსულტაციო) საბჭოს;
- იღებს გადაწყვეტილებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- ამტკიცებს აკადემიის ბიუჯეტს და წლიურ ფინანსურ ანგარიშს;
- წყვეტს სხვა საკითხებს რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

4.8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრთა საერთო კრების რიგგარეშე მოწვევა ხდება:

- პრეზიდენტის გადაწყვეტილებით;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრთა ერთი მეათედის წერილობითი მოთხოვნით, რომელიც წარედგინება პრეზიდენტის, პრეზიდენტი ვალდებულია არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში მოამზადოს დღის წესრიგი დანიშნოს საერთო კრების თარიღი და დაუგზავნოს აკადამიის ყველა წევრს;

მუხლი 5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

5.1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ენიჭება ერთპიროვნულად აკადემიის პრეზიდენტს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში პრეზიდენტის მოადგილეს. აღნიშნული პირები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად წარმართონ საზოგადოების საქმიანობა.

5.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტს ირჩევს საერთო კრება. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახლად არჩეული პრეზიდენტის სახელმწიფო სავალდებულო რეგისტრაციამდე;

5.3 არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

5.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეული იქნეს ზედიზედ ორჯერ.

5.5 პრეზიდენტი:

ა) წარმართავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ბ) მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;
გ) აღასრულებს წევრთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
დ) ხელს აწერს საერთო კრების მიერ მიღებულ დოკუმენტებს;
ე) ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში, ხელს აწერს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, დოკუმენტებს რომელიც საჭიროა მიმდინარე საქმიანობისათვის, დებს შრომით ხელშეკრულებებს, ამტკიცებს სტრუქტურას, განსაზრვრავს შრომის ანაზრაურებას, ადგენს და ამტკიცებს პროექტებს, პროგრამებს და სხვა
ვ) თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოსცემს ბრძანებებს;
ზ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს;
თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ ორგანიზაციის პრეზიდენტის უფლებამოსილების გახორციელებას, ან გამოვლინდება ინტერესთა შეუთავსებლობის გარემოებები;
ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, პრეზიდენტის უფლებამოსილებას ახორციელებს პრეზიდენტის მოადგილე. ასეთ შემთხვევაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ახალი პრეზიდენტი არჩეული უნდა იქნას გადადგომიდან ან გადაყენებიდან ერთი თვის განმავლობაში.

5.6 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა,
ბ) საკუთარი განცხადების საფუძველზე,
გ) თუ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი
დ) წევრთა საერთო კრების დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
ე) გარდაცვალება
ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკარგულად გამოცხადება

5.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტი:

1. შორენა დოლაბერიძე
   პირადი № 6100102####
   პასპორტის №11BA1####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ##########
   დაბადების თარიღი: ##.##.1984
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: shorenad@yahoo.com

5.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტი მოადგილის უფლებამოსილებები:

ა) პრეზიდენტის დავალებით ასრულებს მის ცალკეულ უფლებამოსილებებს;
ბ) პრეზიდენტის არყოფნის, ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, დროებით ასრულებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს.

5.8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:

- უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;
- საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- თუ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
- წევრთა საერთო კრების დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე;
- გარდაცვალება;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკარგულად გამოცხადება.

5.9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პრეზიდენტის მოადგილე:

1. ნინო დოლაბერიძე
   პირადი № 6100102####
   პასპორტის №09AK6####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ##########
   დაბადების თარიღი: ##.##.1962
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: ninogujabidze@yahoo.com

მუხლი 6

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება

6.1 ორგანიზაციის ქონება იქმნება წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

6.2 ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 7

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

7.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით;

7.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38^1 მუხლის შესაბამისად.

7.3 ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

7.4 წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

7.5 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

7.6 აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

7.7 თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას

გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

7.8 ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8

დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.2 თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

8.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებლები:

1. შორენა დოლაბერიძე ----------
   პირადი № 6100102####
   პასპორტის № 11BA1####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ###########
   დაბადების თარიღი: ##.##.1984
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: shorenad@yahoo.com

2. ნინო დოლაბერიძე ----------
   პირადი №6100102####
   პასპორტის №09AK6####
   საცხოვრებელი ადგილი: ქ.ბათუმი, ###############
   დაბადების თარიღი: ##.##.1962
   დაბადების ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გაცემის ადგილი: ქ.ბათუმი
   პასპორტის გამცემი ორგანი: იუსტიციის სამინისტრო
   ელ-ფოსტა: ninogujabidze@yahoo.com